ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი
საკრებულოს წევრის მაგდა კოსტავას
2023 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საჯაროობის პრინციპის დაცვითა და ანგარიშვალდებულებით ამომრჩევლების წინაშე, მე კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მაგდა კოსტავა წარმოგიდგენთ ანგარიშს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მე როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში.

კერძოდ:

- საკრებულოს 14 რიგითსა და 5 რიგგარეშე სხდომაში;
- საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 11 სხდომაში;
- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 4 სხდომაში;
- გენადერული თანასწორობის საბჭოს 8 სხდომაში;

როგორც კახიანოურის ,საფიჩხიისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა, საკრებულოს წევრმა 2023 წლის განმავლობაში ჩავატარე 57 შეხვედრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. ხოლო 6 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

კერძოდ:

- კახიანოურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გავმართე 29 შეხვედრა მოქალაქეებთან, ხოლო 3 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეების

საცხოვრებელ ადგილზე ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტების გასაცნობად.

- საფიჩხიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გავმართე 25 შეხვედრა ხოლო 2 გასვლითი შეხვედრა მოქალაქეებთან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტების გასაცნობად.
- მუხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩავატარე 3 შეხვედრა და 1 გასვლითი შეხვედრა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტების გასაცნობად.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გიზიარებთ განხორციელებული ინფრასტრუქტურული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციას რომელიც აერთიანებს გზების, საყრდენი კედლების, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციას. სკვერების და სპორტულ, გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

➡ საფიჩხია

**საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული პრიორიტეტები:**

**დაინიშნა ტრანსპორტი –** *დ.კლდიაშვილის,გელათის ქუჩის,განათლების ქუჩის,26 მაისის ქუჩისა და თბილისის ქუჩის მაცხოვრებლებისთვის.*

**ჩატარდა გზის რეაბილიტაცია –** *მოეწყო გზა ასფალტის საფარით სოლომონ 2 ქუჩის #53–69 მონაკვეთზე.*

**განხორციელდა სტადიონის რეაბილიტაცია** *გელათის 120 ქუჩის მიმდებარედ. შეიცვალა გარე პერიმეტრზე ღობეები,კარებები,მოწესრიგდა,შეიღებად და შეიცვალა ფარები.*

**ანაფრეზით მოხდა ქუჩების შეკეთება რეაბილიტაცია –** *სოლომონ მე-2-ეს ქუჩის მე-4 ჩიხში, პანსიონატ "წყალწითელას" მიმდებარე ტერიტორიაზე ,მწვანეყვავილას ქუჩა N192-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გელათის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, ტელეანძის მიმდებარედ, დ. კლდიაშვილის ქუჩის N161-ში.*

**საახალწლო-სააღდგომოდ სურსათით დახმარება გაეწია 240 ოჯახს; 45 მრავალშვილიან დედას; მარტოხელა დედებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს , მადლიერების სახლის ბენეფიციარებს; 1-ლი ჯგუფის ინვალიდებს.**

კახიანოური

**კახიანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წელს განხორციელებული პროექტები:**

**რეაბილიტირებულ იქნა ბინის ფასადი –** *ახალგაზრდობის გამზირის ცენტრალურ გზასთან არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე.*

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ ისარგებლა პროგრამა კორპუსით გათვალისწინებული პროგრამით სადარბაზოს რემონტი –***ახალგაზრდობის გამზ. 1 შეს. N14.*

**სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციოდ საჭირო გადასახური მასალა გამოეყო –** *71 საცხოვრებელ სახლს , აქედან კერძო სახლი - 50, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი-20, მე-8 საჯარო ბიბლიოთეკა-1.*

**ჩატარდა სრული გადახურვის სამუშაოები შემდეგ მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში –** *ახალგაზრდობის გამზ. N19ა, ახალგაზრდობის გამზ. N84, ახალგაზრდობის გამზ. N88, ახალგაზრდობის გამზ. N90, ახალგაზრდობის გამზ. 1 შეს. N2.*

**გადასახური მასალა გადაეცა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს პროგრამა „კორპუსის" ფარგლებში –** *ახალგაზრდობის გამზ. N84, კუპრაძს ქ. მე-14 შეს. N1.*

**განხორციელდა საექსპლოატაციო ტიპის სამუშაოები, კერძოდ გზებისა და ტროტუარების მიმდინარე (ორმოული) შეკეთება შემდეგ მისამართებზე –** *ერევნის ქ. N45, ბაგრატიონის ქ. N51, N53, შინდისის გმირების ქ. N27;ახალგაზრდობის გამზ. N84-სა და N86-ს შორის, ლეონიძის ქ. N2, აბაშიძის ქ. N4, ახალგაზრდობის გამზ. 1 შეს. N25, ახალგაზრდობის გამზ. N21-ის მიმდებარედ.*

**ჩატარდა მიმდინარე გზის შეკეთებითი სამუშაოები შემდეგ მისამართებზე** *–რაზმაძის ქ. N37, ბალანჩივაძისა და გურამიშვილის ქუჩების კვეთა, ხაბეიშვილისა და გურამიშვილის ქუჩების კვეთა, ჭყონდიდელის ქ. N68, N79, შინდიდსის გმირების ქ. N8 N19, ბალანჩივაძის ქ. N37, გოგოლის ქ. N30,N32, გურამიშვილის ქ. N8, გოგოლის ქ. N83ა, რაზმაძის ქ. N7, N11, გოგოლის ქ. N95, N97, რაზმაძის ქ. N33, გოგოლის ქ. N53, N76, N95, N105, ლომთათიძის ქ. N1, ჭყონდიდელის ქ. N9.*

**დაიხაზა მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებები და ქვეითთა გადასასვლელები** *ახალგაზრდობის გამზირი, წერეთლის ქუჩა, აბაშიძის ქუჩა, ლეონიძის ქუჩა.*

**გაიწმინდა სანიაღვრე არხები შემდეგ მისამართებზე –** *ხაბეიშვილის ქუჩა, ფოთის ქუჩა, განჯის ქუჩა, გოგოლის ქუჩა N45, წერეთლის ქუჩა №161, №163, №276,წერეთლის ქუჩა მე-5 ჩიხი, კუპრაძის ქუჩა მე-2 შეს, მახვილაძის ქუჩა №13-სა და№15 ბინებს შორის კიბის მიმდებარედ, მახვილაძის ქუჩა №17, №19; დეპოს ქუჩა,აბაშიძის ქუჩა N2, გურამიშვილის ქუჩის დასაწყისი და ბოლო მონაკვეთი ,ფოთის ქ. N 38 და N 40.*

**მოეწყო ახალი ცხაური :** *მახვილაძის ქ. N14.*

**წყლის ქცევა აღმოიფხვრა –** *ბალანჩივაძის ქ. N2/6, ფოთის ქ. N 10, დეპოს ქ. N 28,რაზმაძის ქუჩა N46, გოგოლის ქუჩაN51 და N 91, მოსკოვის ქუჩა N20, ნეკრასოვის ქ. N 85, გურამიშვილის ქ. N4, რაზმაძის ქუჩა N37, გურამიშვილის ქუჩა N18,თამარ მეფის ქ. 105, მახვილაძის ქუჩა N 10, ჩორგოლიანის ქუჩა N 6, ევდოშვილის მე-10 შეს. N2, ახალგაზრდობის გამზ. 1 შეს.N29 (ატეესის მიმდებარედ), ჩორგოლიანის ქუჩა N8, ლეონიძის ქუჩა N6/19, მახვილაძის ქუჩა N13, ლეონიძის ქუჩა N5, ჯორჯიაშვილის ქუჩა N45, გურამიშვილის ქ. N1, მახვილაძის ქუჩა N44, დეპოს ქ. მე-3 ჩიხი, ჯორჯიაშვილი ქუჩა N4, ბაგრატიონის N5, თამარ მეფის N90, მახვილაძის ქუჩა N11 -ის მიმდებარედ, ბალანჩივაძის 2 შესახვ N2(კორპუსი),გურამიშვილის ქ. N51, ევდოშვილის მე-8 შესახვ N 8,N7,N6, ბალანჩივაძის 1-ჩიხი N8, ჯორჯიაშვილის ქუჩა N31;*

**საკანალიზაციო სისტემა გაიწმინდა შემდეგ მისამართებზე –** *გურამიშვილის ქ. N61, ჩორგოლიანის N14, მახვილაძის ქ. N22, ახალგაზრდობის გამზ. N 64, N90 , N88 , N92, N94 , N86, N86ა, ლეონიძის ქ. N5, N7, აბაშიძის ქ. N2, N4, ბალანჩივაძის ქ. მე-2 შეს. N6; წერეთლის ქ. N276, N276ა.*

**განხორციელდა დაზიანებული გარე-განათების სანათი წერტილების აღდგენა–** *ლეონიძის ქ. N1 (სკვერი), ნეკრასოვის ქ. N12, N31, ახალგაზრდობის გამზირზე , წერეთლის ქ. N276 (სპორტული მოედანი), წერეთლის ქ. N276 (კერძო სახლის მიმდებარედ).*

**გაითიბა და ეკალ-ბარდებისგან გაიწმინდა –** *მახვილაძის ქუჩა №5, №7 ბინის უკანა ტერიტორია ლიანდაგების მხრიდან; ს. მახვილაძის ქ. №7, №9 მიმდებარე ტერიტორია მოსახლეობის ჩართულობით; ს. მახვილაძის ქ. №13, №15, №17, №19 მიმდებარე ტერიტორიები. ახალგაზრდობის გამზ. №74, №76, №78, №80 მიმდებარე ტერიტორია, ლეონიძის ქუჩა № 4, №4ა, №5, №6, საეკლესიო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, კუპრაძის ქ. მე-2 შეს, ვ. კუპრაძის ქ.№18-ის მიმდებარე ტერიტორია (რკ.სადგურზე გადასასვლელ კიბეებთან), ვ.კუპრაძის ქუჩა საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ, „კახიანოურის" ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორია, ახალგაზრდობის გამზირზე არსებული გაზონები, წერეთლის ქუჩა№ 276, №276/40, წერეთლის ქუჩის სტადიონი.აბაშიძის ქუჩა, ბაგრატიონის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა, ახალგაზრდობის გამზ. 1 შეს. N29, გურამიშვილის ქ. N61, ბალანჩივაძის ქ. N2/1, N2/2, N2/6, მე-2 შეს. N2, N4, N6; კუპრაძის ქუჩა N18, N20*;

**შეკეთდა დაზიანებული ნაგავშემკრები კონტეინერები შემდეგ მისამართებზე –***კუპრაძის ქ. N42, N60, ბაგრატიონის ქ. N51, ბაგრატიონის ქ. N73, ლეონიძის ქ. N6, ახალგაზრდობის გამზ. N74*.

**გადაიბელა/ გადაიჭრა მაღალი ტანის ხეები –** *წერეთლის ქ. N276/40 (2 ხე), ახალგაზრდობის გამზ. N44, N56, N21, ახალგაზრდობის გამზირი ბოლო მონაკვეთში (თეგეტა მოტორსის მიმდებარედ, ახალგაზრდობის გამზ. N98, ახალგაზრდობის გამზ. N60.*

**სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი საშუალებები გადაეცა –** *აბაშიძის ქ. N2, ლეონიძის ქ. N6.***საყრდენი კედლის რეაბილიტაცია –** *ნეკრასოვის ქ. N6 .*

**სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სურსათის ნობათით დახმარება გაეწია 510 ოჯახს.სურსათის ნობათით დახმარება გაეწია მრავალშვილიანებს, სოციალურად დაუცველებს, მადლიერების სახლის ბენეფიციარებს**

**მუხნარი**

**„მუხნარის“ ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წელს განხორციელებეული პროექტები**

**ახალგაზრდობის გამზ. მე-5 შესახვევში მოეწყო სკვერი –** *„ დათიკოს“ ბაღი. განათების სისტემით, ბავშვთა გასართობი ატრაქციონებით, ფანჩატურებით, მოსასვენებელი სკამებით და საფეხმავლო ბილიკებით .*

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა მგზავრთა ოთხ მოსაცდელს** *, ხოლო დაემატა ორი ერთეული მოსაცდელი სადგურ რიონში და ახალგაზრდობის გამზ. მე-6 შესახვევთან.ასევე, სადგური რიონის ტერიტორიაზე განთავსდა ელექტრონული ტაბლო, რაც კომფორტულს ხდის მგზავრთა გადაადგილებას.*

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქუთაისი - ბაღდათის დამაკავშირებელ 5 კილომეტრიან მონაკვეთს, ე.წ. „საღორიის ტყე“** *, მოეწყო ტროტუარები , ველობილიკი და განათების სისტემა . სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩუტარდა ავარიულ საყრდენ კედლებს, ახალგაზრდობის გამზირის N37, N49, N51 და N108, ხოლო ის საყრედენი კედლები , რომლებიც არ იყო ავარიულ მდგმარეობაში შეილესა და გამაგრდა. აღნიშნულ მისამართებზე მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა .*

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა** *ახალგაზრდობის გამზირის N15 საცხოვრებელი სახლის და N7 საცხოვრებელი სახლის 1 და 2 სადარბაზოებს.*

*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შეს. N15 ა ბინის ამხანაგობამ.მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა სადგური რიონის ბინა N9 ამხანაგობამ და მოხდა გოფრირებული ალუმინის შიფერით სახლის გადახურვა.*

**სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სურსათის ნობათით დახმარება გაეწია 41 ოჯახს.სურსათის ნობათით დახმარება გაეწია მრავალშვილიანებს, სოციალურად დაუცველებს, მადლიერების სახლის ბენეფიციარებს**

გამოწვევები:

- საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების ცენტრალიზება და სისტემატიზაცია
- საფიჩხიის მოედნის რეაბილიტაცია.
- სკვერებისა და სპორტული მოედნების განახლება , ახალი სივრცეების შექმნა.
- ტრანსპორტი

მ. კოსტავა მაგდა კოსტავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

საფიჩხიის,კახიანოურისა და მუხნარის მაჟორიტარი